საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

05 ნოე 2024 წ.

KA000003711700624

№ **2024/6101**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] უფლებების დარღვევის თაობაზე N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის,[1] [redacted] განცხადებები, მოიპოვა და შეამოწმა საქმესთან დაკავშირებული ყველა რელევანტური და ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ვიდეოჩანაწერი. ყოველმხრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დარღვეულია პატიმრის უფლებები, რასთან დაკავშირებითაც მოგმართავთ წინამდებარე წინადადებით.

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას,[2] მსჯავრდებულმა [redacted] მიუთითა, რომ 2024 წლის 22 მაისს მისი საცხოვრებელი საკნიდან გადაიყვანეს დეესკალაციის ოთახში, თუმცა აღნიშნულის მიზეზი დაზუსტებით არ იცოდა. შესაძლო მიზეზად მიუთითებდა თანამშრომელთა ვარაუდს, რომ მას საკანში რაღაც აკრძალული მედიკამენტი ჰქონდა და სწორედ ამ მიზეზით შევიდნენ მასთან შემოწმებაზე, თუმცა მსგავსი რამ არ აღმოუჩენიათ. დამატებით უთითებდა, რომ მიირთმევდა შაქრის კუბებს, რომელიც, შესაძლოა, თანამშრომლებს წამალი ეგონათ.

მსჯავრდებულის განმარტებით, მას არ დაურღვევია რაიმე წესი და არც აგრესია გამოუხატავს. შესაბამისად, მისი დეესკალაციის ოთახში ჩაყვანის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

ხსენებული ფაქტის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა N6 პენიტენციურ დაწესებულებას და მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები გამოითხოვა.[3]

N6 პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად,[4] გაირკვა, რომ ამავე დაწესებულების დირექტორის მიერ 2024 წლის 22 მაისს მიღებული N862 ბრძანება, [redacted] დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ, ეყრდნობა დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მთავარი ინსპექტორისა და მორიგე ექიმის მოხსენებით ბარათებსა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკს.

გარემოებაზე არ აპელირებს დასახელებულ დოკუმენტში.

N6 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მთავარი ინსპექტორის მოხსენებითი ბარათის თანახმად,[6] 2024 წლის 22 მაისს (საათი არ არის მითითებული) ვიზუალურ-ელექტრონული მეთვალყურეობის ინსპექტორის მოთხოვნის შესაბამისად, მორიგე განწესის წევრებთან ერთად განახორციელა [redacted] გადამოწმება. მითითებულია, რომ გადამოწმებისას მსჯავრდებულმა გამოხატა აგრესია და პლასტმასის ჩანგლით დაიმუქრა ყელის არეში თვითდაზიანების მიყენებით.

მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, პატაკის ავტორი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო მსჯავრდებულის განთავსება მომხდარიყო დეესკალაციის ოთახში საფრთხის აღმოფხვრამდე.

დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკი შინაარსობრივად იგივეს იმეორებს და დამატებით მიუთითებს, რომ ადგილზე მიიღეს გადაწყვეტილება პატიმრის დეესკალაციის ოთახში გადაყვანასთან დაკავშირებით, ხოლო დეესკალაციის ოთახში გადაადგილებისას, პატიმარი გამოხატავდა აგრესიას და უწევდათ წინააღმდეგობას, რის გამოც მათ მიერ პროპორციული ძალა იქნა გამოყენებული.[7]

ზემოაღნიშნული გარემოებების გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს და მოითხოვა 2024 წლის 22 მაისით დათარიღებული [redacted] საცხოვრებელი საკნის ამსახველი ვიდეოჩანაწერების დაარქივება.[8]

2023 წლის 12 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ დათვალიერდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ საცხოვრებელი საკნის შიდა და გარე სივრცის ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც მსჯავრდებული იმყოფებოდა დეესკალაციის ოთახში ჩაყვანამდე.[9]

დაარქივებული ვიდეოჩანაწერი ასახავს 2024 წლის 22 მაისის მოვლენებს მთლიანი პერიოდის, 24 საათის განმავლობაში. ამავე დღის 00:03 საათზე მსჯავრდებული იმყოფება საკანში განთავსებულ მაგიდასთან, რომლის თავზეც განთავსებული თაროდან იღებს ნივთს, რომელზეც თითით ზემოქმედებს (სავარაუდოდ, დაწოლით), რის შემდგომაც ხელი მიაქვს პირთან. დაზუსტებით არ ჩანს, მიიღო თუ არა რაიმე. 09:48 საათზე ის იგივე მოქმედებას იმეორებს.

10:17 საათზე იღება საკნის სარკმელი, რა დროსაც ის იწყებს საუბარს დაწესებულების თანამშრომელთან. საუბრისას მსჯავრდებული აღელვებულია და ცდილობს, ხელების ჟესტიკულაციით რაღაცის ახსნას. საუბრის დამთავრებიდან მალევე, 10:21 საათზე, მის საკანში შემოწმების მიზნით, დაწესებულების თანამშრომლები შედიან. აღნიშნული რამდენიმე წამს გრძელდება და შემოიფარგლება ვიზუალური დაკვირვებით, რის შემდგომაც თანამშრომლები ტოვებენ საკანს.

10:40 საათზე მსჯავრდებული გაყავთ საცხოვრებელი საკნიდან, როგორც შემდგომ გაირკვა,[10] ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ხოლო უკან აბრუნებენ 15:33 საათზე. ამ პერიოდიდან მოყოლებული, მსჯავრდებული იმყოფება საცხოვრებელ საკანში, გადაადგილდება მშვიდად და რაიმე საყურადღებო მის ქცევაში არ ვლინდება.

19:48 საათზე მორიგე ექიმი დაწესებულების თანამშრომლებთან ერთად შედის მსჯავრდებულის საკანში. თანამშრომლები იწყებენ საკანში არსებულ თაროებზე ნივთების გადამოწმებას, ხელში აგროვებენ შეფუთვებს (ზუსტად გარჩევა შეუძლებელია, სავარაუდოდ, შედიკამენტებს) და, მათ შორის, აიღეს ის ნივთიც, რომელსაც მსჯავრდებული იყენებდა (სავარაუდოდ, შაქრის კუბების შეფუთვა), თუმცა მას უკანვე აბრუნებენ, არ გამოხატავენ მის მიმართ ინტერესს. თუმცა, მსჯავრდებული სწორედ ამ ნივთს იღებს და მიდის ექიმთან, რომელსაც უჩვენებს, თუ რა არის, ხელზე იგდებს პატარა ნაწილს და ამგვარად ცდილობს ახსნას.

20:00 საათზე, ჯამში 7 თანამშრომელი იმყოფებოდა მსჯავრდებულის საკანში, მათ ის წრეში მოაქციეს და ამ გზით გაიყვანეს საკნიდან.

შემოწმების დროს მსჯავრდებულის ქცევა ძირითადად მდგომარეობდა მცდელობაში, შესული პირებისთვის აეხსნა, თუ რას იყენებდა და რომ რაიმე აკრძალული ნივთი მას არ ჰქონდა.

სამართლებრივი დასაბუთება

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პატიმრები იმყოფებიან ხელისუფლების ორგანოების სრული კონტროლის ქვეშ, რის გამოც მოწყვლადები არიან და იმ საფრთხის ქვეშ დგანან, რომ მათ წინააღმდეგ ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებენ.[11]

სახელმწიფოს ისედაც უპირობო უპირატესობა გააჩნია მის იურისდიქციას დაქვემდებარებული პირებისადმი, ხოლო ეს უპირატესობა და ძალაუფლება განსაკუთრებით მოჭარბებულია, როდესაც პირი იმყოფება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ. ასეთ ძალაუფლებას სჭირდება შემაკავებელი

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციისა და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24 საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.[12] დაუშვებელია ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დასჯის მიზნით გადაყვანა.[13]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელების სახეებს, მოსამსახურისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და მოხსნის წესს.[14] მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და მოსამსახურეთათვის დადგენილი ეთიკის ნორმების დარღვევა.[15]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს.[16] კოდექსის მიზანია ისეთი ქცევის წესების დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსამსახურეთათვის პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას, სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ შესრულებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას.[17]

მოსამსახურეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მას საზოგადოების წინაშე აღებული აქვს საჯარო სამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ვალდებულებები.[18] მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის, სხვა პირების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.[19] მოსამსახურის ხელმძღვანელი პირები ყურადღებით უნდა ადევნებდნენ თვალყურს, რომ მათი მოსამსახურეები სწორად ასრულებდნენ საკუთარ სამსახურებრივ მოვალეობებს. მათ უნდა გამოავლინონ და აღკვეთონ ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება.[20]

ყოველი მოსამსახურე, მიუხედავად მისი ადგილისა სამსახურებრივ იერარქიაში, პირადად აგებს პასუხს თავის ქმედებებზე და იმ დავალებებზე, რომლებსაც ის აძლევს მასზე დაქვემდებარებულ პირებს.[21] მოსამსახურე, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელი, ვალდებულია წინ აღუდგეს აშკარად უკანონო ბრძანებას.[22] მოსამსახურის მიერ კოდექსის მოთხოვნების დარღვევა ჩაითვლება სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევად.[23]

წინამდებარე ეპიზოდის ანალიზი

მოცემულ შემთხვევაში, დეესკალაციის ოთახში პატიმრის გადაყვანას საფუძვლად დაედო მისი მხრიდან აგრესიული ქმედება დაწესებულების თანამშრომლების მიმართ და თვითდაზიანების მიყენების მუქარა.[24]

N6 პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მთავარი ინსპექტორის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ შემოწმებისას მსჯავრდებული აგრესიული იყო დაწესებულების თანამშრომლების მიმართ და პლასტმასის ჩანგლით იმუქრებოდა თვითდაზიანების მიყენების შესახებ.[25] თუმცა, დაარქივებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად ნათელი გახდა, რომ დაწესებულების თანამშრომლების მიერ მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში გადაყვანის შესახებ შედგენილი პატაკის შინაარსი არ ასახავს რეალობას.

ზემოხსენებული პირველ რიგში დასტურდება იმით, რომ ვიდეოჩანაწერის მიხედვით, მსჯავრდებულთან ექიმისა და მორიგე განწესის თანამშრომლების შესვლისას [redacted] ქმედებები მიმართული იყო მცდელობისკენ, რომ აეხსნა, თუ რა ნივთს იყენებდა, დაეხახვებინა ძათთვის შეფუთვის შიგთავსი. მსჯავრდებულს არ გამოუხატავს აგრესია რაიმე მოქმედებაში თუ ჟესტიკულაციაში. ვიდეოჩანაწერში არ ფიქსირდება მსჯავრდებულის მიერ პლასტმასის ჩანგლის ხელში ჭერის ფაქტიც. დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტაციის ჩანაწერები კი აღიქმება იმგავარად, რომ მსჯავრდებული ჩანგლის დემონსტრირებით იმუქრებოდა თვითდაზიანების მიყენებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩანგლით თვითდაზიანების მიყენების მუქარის შესახებ არსებული ჩანაწერი იყოს არასწორი ფორმულირებით გადმოცემული ფაქტი და რომ დავუშვათ, რომ რეალურად თანამშრომლებმა იგულისხმეს, რომ [redacted] მხოლოდ ვერბალურად იმუქრებოდა ჩანგლის გამოყენებით, რჩება თითქოსდა თანამშრომლების მიმართ აგრესიის გამოხატვის ეპიზოდი, რომელიც არ შეესაბამება ვიდეოჩანაწერებში ასახულ ფაქტებს.

ამასთან, ბუნდოვანი და ზოგადი შინაარსის მატარებელია ექიმის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი,

გარდა აღნიშნულისა, დაარქივებული ჩანაწერები განამტკიცებს [redacted] მიერ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლისთვის მიწოდებულ დამატებით გარემოებას - როგორც მან აღნიშნა, დაწესებულების თანამშრომლები ფიქრობდნენ, რომ მას საკანში აკრძალული მედიკამენტი ჰქონდა და შესაძლოა, სწორედ ამიტომ გადაიყვანეს ის დეესკალაციის ოთახში. ჩანაწერების თანახმად, შემოწმება არ მომხდარა საკანში არსებული ნივთების (საწოლის, სათავსოსი, საპირფარეშო ოთახის), არამედ თავიდანვე ის დაიწყო კედელზე განთავსებული თაროებიდან, სადაც მედიკამენტების შეფუთვები იდო. სწორედ ამ ნივთებით იყვნენ თანამშრომლები დაინტერესებულები, ვინაიდან მათ ხელში აგროვებდნენ და შემდგომ გაიტანეს კიდეც საკნიდან. გარდა ამისა, როდესაც საკანში შევიდა დამატებით რამდენიმე პირი (ჯამში საკანში იმყოფებდა დაწესებულების 7 თანამშრომელი), აღნიშნული პირებიც მიდიოდნენ და უყურებდნენ შეგროვებულ ნივთებს - მედიკამენტის შეფუთვებს/კოლოფებს.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ შემოწმებაზე თანამშრომლებმა თავიდანვე დაასწრეს მორიგე ექიმი და ის შემდგომ არ მოუხმიათ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ექიმის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხი იყო გასარკვევი და აღნიშნულის თაობაზე თანამშრომლებს მსჯავრდებულის საკანში შესვლამდე ჰქონდათ ინფორმაცია.

ამგვარად, დაარქივებული ვიდეო ჩანაწერები თანხვედრაში მოდის და დამატებით სარწმუნოობას სძენს მსჯავრდებულის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, მაშინ, როდესაც დაწესებულების თანამშრომელთა მიერ შედგენილი პატაკებისა და ვიდეო კამერების ჩანაწერებით ასახული რეალობა აცდენილია ერთმანეთს.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ დეესკალაციის ოთახში განთავსებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში საერთოდ არ არის ნახსენები, თუ რას ეძებდნენ დაწესებულების თანამშრომლები მსჯავრდებულის საკანში, რა კოლოფები გამოიტანეს საკნიდან და იყო თუ არა რომელიმე აკრძალული ნივთი.

მოპოვებული დოკუმენტაციის, მსჯავრდებულისგან მიღებული ინფორმაციითა და დაარქივებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერებით, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ პატიმრის მოთავსება დეესკალაციის ოთახში უკანონოდ განხორციელდა.

დეესკალაციის ოთახში მოთავსება არ შეიძლება ატარებდეს თვითნებურ ხასიათს, არამედ ის აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს, რაც ამ შემთხვევაში ვერ დასტურდება.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე საქმის გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, იკვეთება მსჯავრდებულ [redacted] უფლებების დარღვევის ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, შესწავლილი დოკუმენტური მასალის საფუძველზე, დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება მსჯავრდებულ [redacted] უფლებების დარღვევის სავარაუდო ფაქტზე და მიიღოთ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება ყველა პასუხისმგებელი პირის მიმართ.

გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 04 ივნისის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულ/მსჯავრდებულ [redacted] მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის და დაენიშნა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა - 04 წლის ვადით. აღნიშნული განჩინების საფუძველზე [redacted] N6 პენიტენციური დაწესებულებიდან 2024 წლის 05 ივნისს გადაყვანილი იქნა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (ხონი-ქუტირი).

[2] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის 2024 წლის 23 მაისის შეხვედრა მსჯავრდებულთან.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 31 ივლისის N2024/3354 წერილი.

[4] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 5 აგვისტოს 229539/23 წერილი.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] იქვე.

[9] სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ 2024 წლის 12 ივლისს შედგენილი ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმი.

[10] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 სექტემბრის 285209/23 წერილი.

[11] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, თბილისი, 2009, 57.

[12] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს № 108 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 1.

[13] იქვე, პუნქტი 6.

[14] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის № 144 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება“, მუხლი 1.

[15] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“, „ე“.

[16] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის № 144 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი“, მუხლი 1, პუნქტი 1.

[17] იქვე, მუხლი 1, პუნქტი 2.

[18] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 1.

[19] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2.

[20] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 7.

[21] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 3.

[22] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 4.

[23] იქვე, მუხლი 6.

[24] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ 2024 წლის 22 მაისს მიღებული N862 ბრძანება, 2024 წლის 22 მაისის N147336/23 მოხსენებითი ბარათი და 2024 წლის 22 მაისის N147317/23 პატაკი.

[25] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 5 აგვისტოს 229539/23 წერილი.

[26] იქვე.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი